



სიუ მონკ კიდი
ფუტკრების იდუმალი
ცხოვრება

სიუ მონკ კიდი
ფუტკრების იღუმელი ცხოვრება

Sue Monk Kidd
THE SECRET LIFE OF BEES

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

© Sue Monk Kidd Ltd., 2002

All rights reserved.

This edition is published by arrangement with Viking, an imprint of Penguin Publishing Group, a division of Penguin Random House LLC, arranged through Andrew Nurnberg Associates International Ltd.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-525-7

www.diogene.ge

ჩემს ვაჟს, ბობს, ასევე ენსა და სენდის
სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს

პირველი თავი

ფუტკრების ოჯახს დედაფუტკარი (ე. ნ. დედოფალი) აერთიანებს; თუ მას სკიდან გამოვიყვანთ, მუშა ფუტკრები მყისვე იგრძნობენ მის არყოფნას. რამდენიმე საათის მერე ან უფრო მალე ისინი უკვე აშკარად რეაგირებენ დედოფლის არყოფნაზე.

„ადამიანი და მწერები“

დამლამობით ვხედავდი ხოლმე, როგორ ძვრებოდნენ ფუტკრები ჩემი ოთახის კედლების ნაპრალებიდან, მერე წრიულად დაფრინავდნენ და თვითმფრინავის პროპელერივით ზუზუნებდნენ. ისე გამაყრუებლად ხმიანობდნენ, რომ კანიც კი მიზუზუნებდა. ფრთები სიბნელეში ქრომის ნაწილაკებივით უციმციმებდათ და ვგრძნობდი, როგორ მიმძაფრდებოდა სევდა. ფუტკრების შემხედვარეს, გული მტკიოდა, რადგან ისინი ყვავილებს კი არ ეძებდნენ, უბრალოდ, ცდილობდნენ, ქარის მონაბერი შეეგრძნოთ.

დღის განმავლობაში ფუტკრებს გვირაბები გაჰყავდათ ჩემი საწოლი ოთახის კედლებში. მეორე ოთახიდან თუ მიაყურადებდით, მათი ხმაური იმას წააგავდა, რადიოგადაცემების დროს რომ გაისმის. წარმოვიდგინე, რომ ფუტკრები კედლებს ფიჭებად აქცევდნენ, თაფლი კი ოთახში ჩამოიღვრებოდა და ვიგემებდი.

ფუტკრები 1964 წლის ზაფხულში გამოჩნდნენ, იმ ზაფხულს, როდესაც თოთხმეტი წლისა შევესრულდი და ჩემი ცხოვრება სრულიად ახალი მიმართულებით წარიმართა. ხაზს ვუსვამ: *სრულიად ახალი მიმართულებით*. ახლა, როცა იმ დროს ვიხსენებ, მესმის, რომ ფუტკრები ზეცამ გამომიგზავნა: ისე გამოჩნდნენ, როგორც მთავარანგელოზი გაბრიელი ქალწული მარიამის წინაშე და სრულიად მოულოდნელი გეზით წარმართეს მოვლენები. მესმის, რომ ჩემი ცხოვრების შედარება წმინდანთა ცხოვრებასთან კადნიერებაა, მაგრამ მჯერა, რომ ღვთისმშობელს ამის საწინააღმდეგო არაფე-

რი ექნებოდა. ყოველივე ამას გვიამბობთ. ახლა კი უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად იმ ზაფხულს მომხდარი მოვლენებისა, ფუტკრების სიყვარული არ გამწვანდება.

1964 წლის პირველ ივლისს სანოლში ვინეტი და ფუტკრების გამოჩენას ველოდებოდი. გამახსენდა, რა მითხრა როზალინმა, როდესაც ღამიურ სტუმრებზე ვუამბე:

– ფუტკრები სიკვდილის წინ ნაყრიანობენ.

როზალინმა ჩვენთან დედაჩემის სიკვდილის მერე დაიწყო მუშაობა. მამამ, რომელსაც ტ. რეის ვეძახდი, რადგან სიტყვა „მამა“ სრულიად არ შეეფერებოდა, როზალინი, რომელიც მანამდე ატამს კრეფდა ჩვენს ბაღებში, ჩემ მოსაველეად მოიყვანა. ფართო, მრგვალი სახე ჰქონდა, ხოლო სხეული კისრიდან კარავივით დამრეცად ეშვებოდა ქვემოთ. როზალინი ისეთი შავი იყო, გეგონებოდათ, ღამე მისი კანიდან ჟონავსო. ტყეში მიმალულ პატარა სახლში, ჩვენ მახლობლად, მარტო ცხოვრობდა. ყოველდღე მოდიოდა, საქმელს ამზადებდა, ალაგებდა და დედის მაგივრობას მიწევდა. როზალინს საკუთარი შვილები არასოდეს ჰყოლია, ასე რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, ჩემ გარდა, სხვა საყვარელი პატარა არსება არ ჰყოლია.

ფუტკრები სიკვდილის წინ ნაყრიანობენ. როზალინს მრავალი უცნაური რამ უთქვამს, რასაც ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ახლა ვინეტი და მის სიტყვებზე ვფიქრობდი. იქნებ ფუტკრებს ჩემი მოკვლა უნდოდათ? სიმართლე გითხრათ, ეს აზრი მაინცდამაინც არ მანუხებდა. შეეძლოთ ჩემზე ანგელოზთა გუნდით დაფრენილიყვნენ და ისე დავეკბინე, რომ სიცოცხლეს გამოვთხოვებოდი, მაგრამ ჩემთვის ეს ყველაზე უარესი გამოსავალი როდი იქნებოდა. იმათ, ვისაც ჰგონია, რომ სიკვდილი ყველაზე უარესია ამქვეყნად, არაფერი იციან სიცოცხლის შესახებ.

ოთხი წლისა ვიყავი, დედა რომ მომიკვდა. ეს ცხოვრებისეული ფაქტი იყო. მაგრამ როგორც კი ამ ფაქტს ვინმესთან ვახსენებდი,

ჩემი თანამოსაუბრე ანაზღად თავისი ფრჩხილებისა და ნუნების თვალიერებას იწყებდა ან ცაში თვალების ცეცებას მოჰყვებოდა ხოლმე და თითქოს სულაც არ მისმენდა. თუმცა ზოგჯერ რომელიმე კეთილი ადამიანი მეუბნებოდა: „ეს ყველაფერი თავიდან ამოიგდე, ლილი. უბედური შემთხვევა მოხდა. დამშვიდდი. შენ ვერაფერს გააწყობდი“.

იმ ღამეს ლოგინში ვინეკი და იმაზე ვოცნებობდი, რომ სიკვდილის მერე დედასთან მოვხვედრილიყავი სამოთხეში. ვეტყვდი: „დედი, მაპატიე. თუ შეიძლება, მაპატიე“, ის კი დამკოცნიდა და დამამშვიდებდა, არაფერში გადანაშაულებო. და ამას უსასრულოდ გამიმეორებდა პირველი ათი ათასი წლის განმავლობაში.

მომდევნო ათი ათას წელს ჩემი თმის ვარცხნას მოანდომებდა. ისე ლამაზად დამვარცხნიდა, რომ სამოთხის მკვიდრნი არფებს ძირს დაყრიდნენ, რათა ამ სანახაობით დამტკბარიყვნენ. საკმარისია, გოგონას თმას შეხედო, რომ მაშინვე მიხვდები, ჰყავს თუ არა დედა. მე ყოველთვის გაბურძგნილი ვიყავი – ტ. რეი ჩემთვის ნორმალურ თმის სახვევებს არ ყიდულობდა. ამიტომ მთელი წლის განმავლობაში თმას თუნუქის ქილებზე ვიხვევდი, რის გამოც ძილი მიტყდებოდა. ვერ გადამენწყვიტა, ღამაში ვარცხნილობა მერჩივნა თუ გამოძინება.

ოთხ თუ ხუთ საუკუნეს მოვანდომებდი იმის მოყოლას, რა გაუსაძლისი იყო ტ. რეისთან ცხოვრება. ტ. რეი ყოველთვის აუტანელი იყო, მაგრამ განსაკუთრებით ამაზრზენი გახლდათ ზაფხულობით, როცა დილიდან საღამომდე ატმის ბალში მუშაობდა. ვცდილობდი, არსად გადავწყდომოდი. ღმობიერად ექცეოდა მხოლოდ თავის ძაღლს, სნაუტს, რომელთან ერთად ფრინველებზე ნადირობდა ხოლმე. სნაუტს ტ. რეის სანოლში ეძინა და როგორც კი ზურგზე გადაგორდებოდა, პატრონი ყოველთვის მუცელზე ეფერებოდა. ერთხელ თვალი მოვკარი, როგორ დააფსა სნაუტმა ტ. რეის ფეხსაცმელს, მას კი წარბიც არ შეუხრია.

ღმერთს განუწყვეტილივ ვთხოვდი, ტ. რეის ხასიათი შეეცვალა. ორმოცი წლის განმავლობაში დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ამის საპასუხოდ ღმერთს, ალბათ, თავისი ნება უნდა გამოეხატა.

საბანი გადავიხადე. ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა და არც ერთი ფუტკარი არ ჩანდა. საათს ხშირ-ხშირად ვუყურებდი. ვერ გამეგო, სად გაქრნენ ფუტკრები.

ბოლოს, შუალამე რომ მოახლოვდა და თვალები უკვე მეხუჭებოდა, ოთახის ზედა კუთხეში ოდნავ გასაგონი ხმაური გაისმა, რომელიც კატის კრუტუნს წააგავდა. ერთი წამის შემდეგ კი კედელზე საღებავის ნაშხეფების მსგავსი მოძრავი ჩრდილები გამოჩნდნენ, ფანჯრიდან შემოჭრილ მთვარის შუქზე მათ მოლიცლიცე ფრთებს ვხედავდი. სიბნელეში ხმაური თანდათან ძლიერდებოდა და მალე მთელი ოთახი აზრიალდა, ჰაერიც კი გაცოცხლდა და გაივსო ფუტკრებით, რომლებიც ქარბორბალასავით ტრიალებდნენ ჩემ გარშემო. მათ ზუზუნში საკუთარი აზრებიც კი არ მესმოდა.

შიშისგან ფრჩხილები ისე ღონივრად ჩავირჭვე ხელისგულში, რომ კინაღამ კანი გავიკანრე. ამდენი ფუტკრის კბენა შეიძლებოდა მომაკვდინებელი ყოფილიყო.

და მაინც ეს დიდებული სანახაობა გახლდათ. უეცრად მივხვდი, რომ ეს აუცილებლად უნდა მეჩვენებინა ვინმესთვის, თუნდაც ტ. რეისთვის და თუკი მას შემთხვევით ორასიოდე ფუტკარი დაკბენდა, ვერაფერს გავანყობდი. საბნიდან გამოვსხლტი, ფუტკრებს შორის გავირობინე და კარს მივვარდი. მინდოდა ტ. რეი გამეღვიძებინა. ჯერ ფრთხილად ვუსვამდი ხელზე თითებს, მერე – უფრო ძლიერად, ბოლოს კი მთელი ძალით ვურტყამდი ხელს სხეულზე. მისმა სიმკვრივემ გამაკვირვა.

საცვლისამარა ტ. რეი საწოლიდან წამოხტა. ჩემი ოთახისკენ წავიყვანე. ყვიროდა, ნეტავ ეს წყეული სახლი დაიწვასო. სნაუტი ისე ყეფდა, თითქოს მტრედებზე ნადირობდა.

– ფუტკრები! – გავიძახოდი მე. – ჩემს ოთახში ფუტკრების გუნდა!

მაგრამ ოთახში რომ შევვარდით, ფუტკრები კედელში გაუჩინარებულნიყვნენ, თითქოს მიხვდნენ, რომ ტ. რეი უნდა შემოსულიყო და არ უნდოდათ, მისთვის ფრენის ხელოვნება ეჩვენებინათ.

– რა ჯანდაბაა, ლილი! ეს სასაცილო აღარაა.

კედლები შევათვალე. სანოლის ქვეშაც შევიხედე და მტვერსა და ჩემი სანოლის ზამბარებს შევევედრე, ერთი ფუტკარი მაინც გამოჩენილიყო.

– აქ იყვნენ, – ვთქვი მე. – მთელ ოთახში დაფრინავდნენ.

– რა თქმა უნდა. და მათთან ერთად კამეჩების ჯოგიც დაფრინავდა.

– მისმინე, – ვუთხარი მე, – მათი ზუზუნი არ გესმის?

ტ. რეიმ მოჩვენებითი სერიოზულობით მიადო ყური კედელს.

– არავითარი ზუზუნი არ მესმის, – თქვა და თითი საფეთქელთან დაიტრიალა. – მე მგონი, ფუტკრები გუგულიანი საათიდან გამოფრინდნენ, რომელსაც საკუთარ ტვინს უწოდებ. თუ კიდევ ერთხელ გამაღვიძებ, ლილი, „მარტა უაიტსს“ გამოვიტან, გამიგე?

„მარტა უაიტსი“ სასჯელის ფორმა იყო, რომელიც მხოლოდ ტ. რეის შეეძლო მოეგონებინა. ენას მყისვე კბილი დავაჭირე.

და მაინც ვერ დავუშვებდი, რომ ტ. რეის ეფიქრა, თითქოს ფუტკრების შემოსევა ყურადღების მისაპყრობად მოვიგონე. ამიტომ თავში ბრწყინვალე აზრმა გამიელვა – ერთი ქილა ფუტკრები დამეჭირა, ტ. რეისთვის მეჩვენებინა და მეკითხა: „აბა, მითხარი, ვინ არის ჩვენ შორის ცრუპენტელა?“

მეხსიერებაში ერთადერთი მოგონება ჩამრჩა დედაზე – ეს იყო მისი გარდაცვალების დღე. დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდი, დედაჩემის ცხოვრების თუნდაც რომელიმე ფრაგმენტი წარმომედგინა, მაგალითად, როგორ მიკეცავდა საბანს სანოლში, როგორ მიკითხავდა ბიძია უიგლის თავგადასავლებს ან როგორ კიდებდა ჩემს საცვლებს ცივ დილას გამათბობელთან. იმის მოგონებაც კი გამახარებდა, როგორ ტეხდა ფორსიტის ბუჩქიდან ტოტს და შიშველ ფეხებზე მირტყამდა.

დედა 1954 წლის 3 დეკემბერს მოკვდა. გახურებული ღუმლისგან სახლში ისე ცხელოდა, რომ დედაჩემმა სვიტერი გაიხადა და

ახლა მხოლოდ მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა, თან ცდილობდა, თავისი საძინებელი ოთახის ჩაჭედელი ფანჯარა გაეღო.

ბოლოს ბედს დამორჩილდა და მითხრა, აი, ნახავ, აქ ამოვიხრჩობითო.

ხშირი შავი თმის კულულები სახეზე ეყრებოდა – სახეზე, რომელსაც ვერაფრით ვიხსენებ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დანარჩენი მკაფიოდ მახსოვს.

ხელები მისკენ გავინვდინე და დედამ ამიყვანა, თან მითხრა, ახლა უკვე დიდი გოგო ხარ და ხელში აყვანას არ უნდა ითხოვდეო, მაგრამ მაინც ამიტატა. მაშინვე მის სურნელში გავეხვიე.

ეს სურნელი სამუდამოდ დამამახსოვრდა და შემიძლია ისევე მკაფიოდ წარმოვიდგინო, როგორც დარიჩინის სურნელი. სილვანის მალაზიაში რეგულარულად დავდიოდი და ვცნოსავდი ყველაფერს, ოღონდ კი საჭირო სუნამო მეპოვა. ყოველთვის, როდესაც იქ მივდიოდი, სუნამოების გამყიდველი მოჩვენებითი გაკვირვებით ამბობდა: „ღმერთო ჩემო, შეხეთ, ვინ მოვიდა“, თითქოს ერთი კვირის წინ იქ არ ვყოფილიყავი და უამრავი სუნამო არ დამეყნოსა: „შალიმარი“, „შანელი № 5“, „უაიტ შოლდერსი“.

ვეკითხებოდი:

– ახალი სუნამო ხომ არ მიგიღიათ?

ქალს დადებითი პასუხი არასოდეს გაუცია.

სწორედ ამიტომ გავოგნდი, როდესაც ეს სურნელი მეხუთე კლასში ჩემი მასწავლებლისგან მეცა. მან მითხრა, რომ ეს, უბრალოდ, კოლდკრემი „პონდსი“ იყო.

იმ დღეს, როცა დედა მოკვდა, იატაკზე, სწორედ იმ ჩაჭედილი ფანჯრის მახლობლად, ღია ჩემოდანი იდო. დედა საკუჭნაოში შედიოდა და იქიდან გამოტანილ ნივთებს ჩემოდანში დაუკეცავდად ყრიდა.

დედას ბნელ საკუჭნაოში შევყევი და კაბების ქობებსა და შარვლის ტოტებს ქვეშ გავძვერი. იატაკზე მტვრის ბურთულები, პატარა მკვდარი მწერები და ჩვენი ბალიდან გამოყოლილი ტალახის გოროხები ეყარა. ტ. რეის ფეხსაცმელზე მიწებებული ატმის ნარ-

ჩენები ყარდა. თეთრ მალალქუსლიან ფეხსაცმელში ხელები ჩავყა-
ვი და ერთმანეთს შემოვკარი.

როდესაც ვინმე პირველი სართულიდან ამოდიოდა, საკუჭ-
ნაოს იატაკი ირყეოდა ხოლმე. ამიტომ მივხვდი, რომ ნუთი ნუთზე
აქ ტ. რეი უნდა შემოსულიყო. ქვემოდან მესმოდა, როგორ ხსნი-
და დედაჩემი საკიდიდან ტანსაცმელს. კაბები შრიალებდა, ლი-
თონის საკიდები ერთმანეთს ეხეთქებოდა და წკრიალებდა. უნდა
ვიჩქაროო, თქვა დედამ.

ტ. რეიმ ფეხსაცმლის ბრაგაბრუგით რომ შემოალაჯა ოთახ-
ში, დედამ მთელი ჰაერი ამოისუნთქა, თითქოს ფილტვები უეცრად
და ძალუმად შეეკუმშა. მხოლოდ ეს მახსოვს მკაფიოდ – მისი თი-
თოეული ამოსუნთქვა, რომელიც პანანინა პარაშუტივით ეშვებო-
და ჩემკენ და უკვალოდ ქრებოდა იატაკზე დაყრილ ფეხსაცმელს
შორის.

არ მახსოვს, რაზე ლაპარაკობდნენ. მახსოვს მხოლოდ მრისხა-
ნება მათ ხმაში და ისიც, რომ ჰაერი თითქოს ადგილ-ადგილ სკდე-
ბოდა და ისერებოდა. მოგვიანებით ისინი მაგონებდნენ ჩაკეტილ
ოთახში გამომწყვდეულ ჩიტებს, რომლებიც კედლებს, ფანჯრებსა
და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. საკუჭნაოში უკან დავიხიე. თითები
პირში ჩავიდე. იქ ფეხსაცმლისა და ფეხების სუნი იდგა.

თავიდან ვერ მივხვდი, ვინ გამომიყვანა საკუჭნაოდან. მერე
დედაჩემის მკლავებში აღმოვჩნდი და მის სურნელს ვისუნთქავდი.
დედა თმაზე მეფერებოდა და მეუბნებოდა, ნუ გეშინიაო, მაგრამ
როგორც კი ეს მითხრა, ტ. რეიმ ამიტატა, კართან მიმიყვანა და
დერეფანში იატაკზე ჩამომსვა.

– შენს ოთახში წადი, – მითხრა მან.

– არ მინდა, – ვტიროდი მე, თან ვცდილობდი მასა და კარს შო-
რის გავმძვრალიყავი და დედასთან მივსულიყავი.

– შენს ოთახში წაეთრიე! – დაილრიალა ტ. რეიმ და ხელი მკრა.
კედელს მივეჯახე, მერე კი ოთხზე დავეცი. თავი რომ ავნიე, დავი-
ნახე, დედა ტ. რეისკენ გამოექანა და ამოიხრიალა: „ბავშვს. თავი.
დაანებე“.

კართან იატაკზე მოვიკუნტე და მათ ვუყურებდი. ჰაერი თითქოს ერთიანად დაკანწულიყო. ტ. რეიმ დედაჩემს მხრებში ხელები ჩაავლო და ისე შეაჯანჯლარა, რომ დედას თავი უმწნოდ გადაუქანდა. დავინახე, როგორ გაუთეთრდა ტ. რეის ტუჩები.

და მაშინ – თუმცა ამის გახსენებისას მეხსიერება მებინდება – დედა გაუსხლტა ქმრის ღონიერ ხელებს, საკუჭნაოში შევარდა და ზედა თაროდან რაღაც გადმოიღო. როდესაც ხელში პისტოლეტი დავუნახე, დედაჩემის გადასარჩენად, ჩვენ გადასარჩენად, ბარბაცით გავიქეცი მისკენ.

მერე დრო დაქუცმაცდა. ის, რაც დამამახსოვრდა, ჩემს თავში მკაფიო, მაგრამ სრულიად დანანვერებული სურათების სახით შემომრჩა. დედაჩემის ხელში პისტოლეტი სათამაშოსავით ლაპლაპებს; ტ. რეი პისტოლეტს ართმევს და აქეთ-იქით იქნევს; პისტოლეტი იატაკზე ვარდება; მის ასაღებად ვიხრები; აფეთქების მსგავსი ხმა.

აი ის, რაც ვიცი ჩემ შესახებ.

დედაჩემის გარდა, ამქვეყნად არავინ მჭირდებოდა. ის სამუდამოდ ჩემთან დარჩა.

მე და ტ. რეი სამხრეთ კაროლინაში, ქალაქ სილვანის (3 100 კომლი) ახლოს, ვცხოვრობდით. იქ, ატმით მოვაჭრე ფარდულებისა და ბაპტისტური ეკლესიების გარდა, ვერაფერს ნახავდით.

ჩვენი ფერმის შესასვლელთან ხის დიდ დაფაზე ეწერა: „ოუენის ატმის კომპანია“. ამაზრზენი ნარინჯისფერი საღებავით იყო დაწერილი. ეს აბრა მძაგდა, მაგრამ აბრას რა უშვავდა უზარმაზარ ატამთან შედარებით, რომელიც ჭიშკრის გვერდით ოცი ფუტის სიმაღლის ბოძზე იყო ჩამოცმული. სკოლაში მას ყველა „დიდ უკანალს“ უწოდებდა (ეს სიტყვა შევალამაზე). ხორციისფერი ატამი, რომელსაც შუაში ვერტიკალური ღარი ჩამოუდიოდა, მართლაც ადამიანის უკანალს ჰგავდა. როზალინი ამბობდა, ამ ატმით ტ. რეი მთელ ქვეყანას უკანალს უჩვენებსო. ტ. რეი სწორედ ასეთი იყო.

მისთვის რომ მეთქვა, მეგობარ გოგონასთან გავათევ ღამეს ან საცეკვაო საღამოზე მივდივარ-მეთქი, ტყუილი ეგონებოდა. თუმცა ეს არ მანაღვლებდა, რადგან ამგვარ საღამოებზე მაინც არ მიწვევდნენ; მაგრამ მას არ მივყავდი ქალაქში, როდესაც იქ ფეხბურთის მატჩები ან ავტომოყვარულთა შეჯიბრებები იმართებოდა და არც იმის უფლებას მაძლევდა, შაბათობით „ბეტა-კლუბში“ მანქანების საქველმოქმედო რეცხვას დავსწრებოდი. არ ანუხებდა, რომ სულ ჩემივე შეკერილი ეკონომკლასის ტანსაცმელი მეცვა – ჩითის ჭრელი ბლუზები უსწორმასწოროდ ჩაკერილი ელვამესაკრავებით და ქვედაკაბები, რომლებიც მუხლებს მიფარავდა. ასეთი ტანსაცმელი მხოლოდ ორმოცათიანელების სექტის ნევრ გოგონებს ეცვათ. გასაკვირი არ იქნებოდა, ჩემი ბლუზის ზურგზე დამეწერა: „არავის ვუყვარვარ და არც არასოდეს ვეყვარები“.

მოდური ტანსაცმელი, ალბათ, მომიხდებოდა, მაგრამ არავის, არც ერთ ადამიანს არასოდეს უთქვამს ჩემთვის, ლილი, რა მშვენიერი გოგონა ხარო, თუ არ ჩავთვლით ეკლესიაში გაცნობილ მისის ჯენინგს, მაგრამ ის უსინათლო გახლდათ.

ჩემს გამოსახულებას ვაკვირდებოდი არა მარტო სარკეში, არამედ ვიტრინებსა და გამორთული ტელევიზორის ეკრანზეც, რათა საკუთარ გარეგნობაზე მკაფიო წარმოდგენა შემექმნა. დედასავით შავი თმა მქონდა, მაგრამ ყოველთვის ყვავის ბუდეს მიმიგავდა. ისიც მანუხებდა, რომ მოკლე ნიკაპი მქონდა. ვფიქრობდი, როცა გავიზრდები, მკერდიც გამეზრდება-მეთქი, მაგრამ იმედი არ გამიმართლდა. ისეთივე ღამაში თვალები მქონდა, როგორიც სოფი ლორენს, მაგრამ ყურადღებას ის ბიჭებიც კი არ მაქცევდნენ, რომლებიც უკან გადავარცხნილ თმას კეფაზე კუდივით იკრავდნენ და პერანგების ჯიბეებში სავარცხლებს ატარებდნენ.

მკერდი დამეტყო, მაგრამ მისი გამოჩენის არავითარი შესაძლებლობა არ მქონდა. იმხანად მოდაში იყო ქიშმირის კოსტიუმები და უჯრულა მოკლე ქვედაბოლოები, მაგრამ ტ. რეიმ მითხრა, უმალ ჯოჯოხეთი ყინულის მოედნად გადაიქცევა, ვიდრე ამგვარად ჩაგაცვამო. ეს ყველაფერი იმით დასრულდება, – განაგრძო

მან, – რომ ბიტის ჯონსონივით (რომელსაც ლამის იყო, ქვედაბოლოდან უკანალი გამოსჩენოდა) დაორსულდებო. საიდან შეიტყო ბიტის შესახებ, ღმერთმა იცის, მაგრამ ბიტის ქვედაბოლოს და მის ბავშვს რაც შეეხება, სრული სიმართლე გახლდათ. ყველაფერი სამწუხარო შემთხვევის გამო მოხდა.

როზალინი კიდევ უფრო ნაკლებად იცნობდა მოდას, ვიდრე ტ. რეი და რომ ციოდა, კაბის ქვეშ, ორმოცდაათიანელების მსგავსად, ბრიჯს მაცმევდა.

ყველაზე მეტად ის მძაგდა, რომ გოგონები ჩემი მიახლოებისას ჩუმდებოდნენ. კანზე ფუფხების ჩიჩქნას ვინყებდი, ხოლო როცა ისინი თავდებოდა, ნუნებს ვიკვნიტდი, სანამ სისხლი არ დაინწყებდა დენას. ჩემი გარეგნობის გამო ვწუხდი და არც ის ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ ბუნებრივი ალლოს თანახმად მოვქცეულიყავი, თითქმის ყოველთვის ერთგვარ როლს ვთამაშობდი.

გასულ გაზაფხულს ქალთა კლუბ „ხიბლის სკოლაში“ ჩავეწერე – მეგონა, ამის წყალობით ვითარების გამოსწორებას შევძლებდი. იქ ექვსი კვირის განმავლობაში ყოველ პარასკევ საღამოს უნდა მევლო, მაგრამ არ მიმიღეს, რადგან არც დედა მყავდა და არც ბე-ბია ან თუნდაც ქეციანი დეიდა ან მამიდა, რომელიც გამოსაშვებ საღამოზე თეთრ ვარდს მომართმევდა. როზალინი ვერ მოვიდოდა – ეს კლუბის წესებს წინააღმდეგებოდა. იქამდე ვაფრქვევდი ცრემლებს, ვიდრე ნიჟარაში გული არ ამერია.

– ისედაც მომხიბვლელი ხარ, – მეუბნებოდა როზალინი და თან ნიჟარას რეცხავდა. – სულაც არ გჭირდება ეს მეტიჩრების სკოლა, რომ მომხიბვლელი იყო.

– არა, მჭირდება, – მიუუგე მე. – იქ ყველაფერს ასწავლიან: მოხდენილად სიარულსა და მობრუნებას, სკამზე სწორად ჯდომას, მანქანაში ჩაჯდომას, ჩაის დასხმას, ხელთათმანების გაძრობას...

– ღმერთო დიდებულო! – ამოიხვნეშა როზალინმა.

– ...ლარნაკში ყვავილების ჩანყოფას, ბიჭებთან საუბარს, წარბების გამოქნას, ფეხების გაპარსვას, პომადის ხმარებას...

– ნიჟარაში რწყევას არ ასწავლიან? არ ასწავლიან, როგორ უნდა არწყიო მომხიბვლელად? – მკითხა მან.

ზოგჯერ როზალინი აუტანელი იყო.

დილით, მას მერე, რაც ტ. რეი ღამით გავალვიძე, როზალინი ჩემი ოთახის კარში შეჩერდა და უყურებდა, როგორ დავდევი ფუტკარს ქილით ხელში. ქვედა ტუჩი ჩამოვარდნოდა და აისივით ვარდისფერი პირი უჩანდა.

– ეს ქილა რად გინდა? – მკითხა მან.

– ფუტკრებს ვიჭერ, რომ ტ. რეის ვაჩვენო. ჰგონია, რომ მოვატყუე.

– ღმერთო, გამაძლებინე...

მერე ის ვერანდაზე ლობიოს ჩურჩავდა. თმაში ოფლის წვეთები უკიაფებდა. საკინძე გამოსწია, რათა ბალიშივით დიდი და ფაფუკი მკერდი გაეგრძობინა.

შტატის რუკაზე, რომელიც კედელზე იყო მიმაგრებული, ფუტკარი დაჯდა და სამხრეთ კაროლინის სანაპიროს გასწვრივ, მე-17 გზატკეცილის აღმნიშვნელ ზოლზე გაცოცდა. როდესაც ჩარლსტონიდან ჯორჯტაუნისკენ აიღო გეზი, სწრაფად დავახურე ქილა. ქილასა და რუკას შორის ხუფი რომ შევაცურე, ფუტკარი დაფრთხა. გააფთრებით ეხლებოდა კედლებს. სეტყვას მაგონებდა, ფანჯრებს რომ ეხეთქება ხოლმე.

ქილაში ყვავილების მტვრიანი ფურცლები ჩავყარე, სახურავი კი ლურსმნით დავხვრიტე, რომ ფუტკარი არ მომკვდარიყო – გაგონილი მქონდა, ადამიანის სული ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მის მიერვე მოკლულ არსებაში ჩასახლდესო.

ქილას ცხვირი მივაჭყლიტე.

– ნახე, როგორ ფართხალებს, – ვუთხარი როზალინს.

როზალინი ოთახში რომ შემოვიდა, მისი სუნი ვიგრძენი, იმ თუთუნით მუქი და მძაფრი, რომელსაც ღეჭავდა. ვინროყელიანი

ხელადა ეჭირა და მის ყურში თითი ჰქონდა გაყრილი. ვუყურებდი, როგორ მიიდო ხელადა ნიკაპზე, ტუჩები ყვავილის კოკორივით მოამრგვალა და შიგ შავი სითხე ჩაანერწყვა, მერე ფუტკარს თვალი შეავლო და თავი გადააქნია.

– თუ გიკბენს, ჩემთან არ მოხვიდე სანუნუნოდ, – მითხრა მან, – შენთვის არ მცხელა.

ტყუოდა.

მხოლოდ მე ვიცოდი, რომ ტლანქი ქცევის მიუხედავად, გული ყვავილის ფურცელზე უფრო ნაზი ჰქონდა და უსაზღვროდ ვუყვარდი.

ეს რვა წლის ასაკში შევიტყვე, როცა როზალინმა სააღდგომოდ შეღებილი წინილა მიყიდა. წინილა თავისი გალიის კუთხეში ცახცახებდა, შავი ყურძნის ფერისა იყო და ნაღვლიანი თვალებით ეძებდა დედიკოს. როზალინმა ნება დამართო, წინილა პირდაპირ სასტუმრო ოთახში შემეყვანა. იატაკზე შვრიის ფანტელები დავყარე, რომ წინილას აეკენკა. როზალინს ერთი სიტყვითაც არ უსაყვედურია.

მალე მთელ ოთახში წინილას იისფერი – როგორც ჩანს, იმის გამო, რომ მის ნაზ სხეულში საღებავმა შეაღწია – სკინტლი ეყარა. ის იყო, ახვეტა დავაპირეთ, რომ ოთახში ტ. რეი შემოვარდა და დაგვემუქრა, წინილას სადილად მოვხარშავ, უტვინო როზალინს კი გავაგდებო. წინილას გაეკიდა და ცდილობდა თავისი შავი (ტრაქტორის მაზუთში გასვრილი) ხელებით დაეჭირა, მაგრამ როზალინს წინ გადაეღობა.

– ამ სახლში წინილის სკინტლზე ბევრად უარესი რაღაცები მოიძებნება, – უთხრა ტ. რეის და თავიდან ფეხებამდე აათვალიერაათვალიერა. – წინილას ხელი არ ახლოთ.

ტ. რეი დერეფანში გავიდა. ბერიკაცის მითხრობის მიხედვით, როზალინს ვუყვარვარ-მეთქი, გავიფიქრე. მაშინ პირველად მივხვდი ამას.

როზალინის ასაკი არავინ იცოდა, რადგან დაბადების ცნობა არ ჰქონდა. ხან ამბობდა, 1909 წელს დავიბადეო, ხან – 1919-შიო,

იმის მიხედვით, რამდენად ასაკოვანად გრძნობდა თავს იმ დღეს, მაგრამ ზუსტად იცოდა, სად დაიბადა: მაკლელანვილში (სამხრეთ კაროლინის შტატში), სადაც დედამისი ჩალის კალათებს წნავდა და მერე გზის პირას ყიდდა.

– ისევე, როგორც მე ვყიდი ატმებს, – ვეუბნებოდი როზალინს.

– ატმები რა მოსატანია? – შემეპასუხა როზალინი. – შვიდი შვილი ხომ არ გყავს დასაპურებელი.

– ექვსი და-ძმა გყავს? – ყოველთვის მეგონა, რომ, ჩემ გარდა, ამქვეყნად არავინ ჰყავდა.

– მყავდა, მაგრამ არც ერთის გზა-კვალი არ ვიცი.

როზალინმა თავისი ლოთი ქმარი ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ მიატოვა.

– მისი ტვინი ფრინველს რომ ჰქონოდა, უკულმა იფრენდა, – ხშირად ამბობდა ის.

ვფიქრობდი, ნეტავ რას იზამდა ეს ფრინველი, როზალინის ტვინი რომ ჰქონოდა-მეთქი. ალბათ, ნახევარ დროს იმით გაერთობოდა, რომ ყველას თავზე დაასკინტლავდა, დანარჩენ დროს კი მიტოვებულ ბუდეებს გადაეფოფრებოდა.

ვოცნებობდი, გათეთრებულიყო, ტ. რეის ცოლად გაჰყოლოდა და ჩემი ნამდვილი დედა გამხდარიყო. ზოგჯერ კი ობოლ ზანგის გოგოდ წარმოვიდგენდი ხოლმე თავს. როზალინი სიმინდის ყანაში მიპოვიდა და მიშვილებდა. ისიც მინდოდა, რომ სხვაგან – მაგალითად, ნიუ-იორკში – მეცხოვრა, სადაც მას შეეძლო ვეშვილებინე და სადაც არავის გაუკვირდებოდა, რომ სხვადასხვა ფერის კანი გქონდა.

დედაჩემს დებორა ერქვა. ეს სახელი ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მეგონა, თუმცა ტ. რეის მისი გაგონებაც არ უნდოდა. თუ ვიტყოდი, ისე იქცეოდა, თითქოს აი ახლა ქუჩაში გავა და ვინმეს მოკლავსო. ერთხელ ვკითხე, დედაჩემის დაბადების დღე როდის

საა და როგორი ღვეზელი უყვარდა-მეთქი, მაგრამ შემომიტია, ხმა ჩაინყვიტეო, ხოლო როდესაც კვლავ დავუსვი ეს შეკითხვა, მოცვისმურაბიანი ქილა აიღო და სამზარეულოს კარადას სთხლიშა. კარადას ახლაც ეტყობა ლურჯი ლაქები.

ზოგიერთი რამ მაინც გამოვტყუე. მაგალითად, დედაჩემი ვირჯინიაში, თავის სამშობლოში ყოფილა დაკრძალული. ვკითხე, ბეზიაჩემის მოძებნა ხომ არ შეიძლება-მეთქი. არაო, მითხრა ტ. რეიმ. დედაჩემი ერთადერთი შვილი ყოფილა ბეზიაჩემისა, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაცვლილა. რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა. ერთხელ, როდესაც სამზარეულოში ტარაკანი გასრისა, მითხრა, რომ თურმე დედა დიდძალ დროს ხარჯავდა სახლიდან ტარაკნების გასატყუებლად და ამ მიზნით ზეფირისა და კრეკერების ნამცეცებისაგან ბილიკი გაჰყავდა. ისიც დასძინა, რომ დედა, ლამის იყო, ჭკუიდან შეშლილიყო, თუკი მწერების სიცოცხლეს ვინმე ხელყოფდა.

ძალზე უჩვეულო მიზეზები მახსენებდა ხოლმე დედას. მაგალითად, სპორტული ბიუსტჰალტერი. ვისთვის უნდა მეკითხა რჩევა ამის შესახებ? დედაჩემის გარდა, ვინ გამიგებდა, რა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ჩირლიდერთა ახალგაზრდული ჯგუფის რეპეტიციებზე დასწრება? ზუსტად გეტყვით – ტ. რეის ეს აზრადაც არ მოსვლია. მაგრამ იცით, ყველაზე მეტად როდის მომენატრა? იმ დღეს, როდესაც, თორმეტი წლისას, გამეღვიძა და საცვალზე ვარდის ფურცლის მსგავსი ლაქა შევამჩნიე. ამ „ყვავილით“ ძალზე ვამაყობდი, მაგრამ გამბედაობა არ მეყო, როზალინის გარდა, ვინმესთვის მეჩვენებინა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ სხვენზე ქალაღდის პაკეტი ვიპოვე. შიგ დედაჩემის რამდენიმე ნაკვალევი აღმოვაჩინე.

იქ ვნახე ფოტოსურათი ქალისა, რომელიც ნაძალადევად იღიმებოდა. ბაცი ფერის სამხრეებიანი კაბა ეცვა. ძველი მანქანის გვერდით იდგა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამბობდა, სურათის გადაღება არ გაბედოო. მაგრამ ეტყობოდა, რომ უნდოდა, გადაეღოთ. ვერ დაიჯერებთ, რას ვფიქრობდი ამ ფოტოსურათზე: რომ მანქანასთან ის მოუთმენლად ელოდებოდა თავის შეყვარებულს.

ამ სურათის გვერდით ჩემსას (მერვე კლასში გადაღებულს) ვდებდი და მსგავსებას ვეძებდი. მასაც ოდნავ მოკლე ნიკაპი ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი გარეგნობა საშუალოზე უკეთესი იყო, რაც იმედს მაძლევდა, რომ მომავალში მეც დავმშვენდებოდი.

გარდა ამისა, პაკეტში ენყო ბამბის ორი თეთრი ხელთათმანი, რომლებიც დროთა განმავლობაში გამუქებულიყო. ამოღებისას გავიფიქრე: ეს ხელთათმანები მას ეცვა. ახლა ამის გახსენება მიუხერხულება, მაგრამ ერთხელ ხელთათმანებში ბამბა ჩავტენე და მთელი ღამე ვეფერებოდი.

პაკეტში ყველაზე უფრო იდუმალი ნივთი იყო ხის პატარა ხატი ღვთისმშობლის გამოსახულებით. იმის მიუხედავად, რომ მუქი კანი ჰქონდა (როზალინის კანზე ოდნავ უფრო ბაცი), ვიცანი. როგორც ჩანს, ვილაცამ შავი ღვთისმშობლის გამოსახულება წიგნიდან ამოჭრა, გაპრიალებულ, ორი დუიმის სიგანის ხის ფირფიტაზე დააწება და ლაქი წაუსვა. უკანა მხარეს ეწერა: „ტიბურონი, ს.კ.“.

დედაჩემის ნივთებს ორი წელი ვინახავდი თუნუქის კოლოფში, რომელიც ბაღში ხეებქვეშ ჩავფალი. ამის შესახებ არავინ იცოდა, როზალინმაც კი. ეს ჩემი საყვარელი ადგილი იყო, სადაც პატარაობიდანვე – სანამ ფეხსაცმელზე ზონრების შეკვრას ვისწავლიდი – ხშირად მივდიოდი. თავიდან იქ უბრალოდ ვემალებოდი ტ. რეის, მის სიბილწეს ან მოგონებას იმ საღამოს შესახებ, როცა პისტოლეტმა გაისროლა; მოგვიანებით კი (ზოგჯერ მას შემდეგ, რაც ტ. რეი იძინებდა) იმისთვის მივდიოდი, რომ მშვიდად ვნოლილიყავი ხეებქვეშ. ეს ჩემი საკუთარი მინა, ჩემი თავშესაფარი იყო.

დროდადრო ბაღში მიწას ვთხრიდი, კოლოფს ვიღებდი, ხეებქვეშ მიწაზე ვწვებოდი, დედაჩემის ხელთათმანებს ვიცვამდი და მის სურათს ვუღიმოდი. ვაკვირდებოდი უცნაურ, დახრილ წარწერას: „ტიბურონი, ს.კ.“ და ვფიქრობდი, ნეტავ ეს ადგილი როგორიამეთქი. ერთხელ რუკაზე ვიპოვე და აღმოჩნდა, რომ ჩვენგან ორი საათის სავალზე იყო. იქნებ დედაჩემმა იქ იყიდა ეს ხატი? საკუთარ თავს დავპირდი, რომ ოდესმე, როდესაც უკვე საკმარისად გავიზ-

რდებოდი, ავტობუსით იქ გავემგზავრებოდი. მინდოდა, მომენახუ-
ლებინა ყველა ადგილი, სადაც დედაჩემი იყო ნამყოფი.

დილა ფუტკრების დევნას მოვანდომე, სალამოს კი გზატკე-
ცილზე გავედი, სადაც ჩვენს ფარდულში ტ. რეის ატმებით უნდა
მევაჭრა. ძალზე მოსაწყენი იყო საათობით ჯდომა გზისპირა ფარ-
დულში, რომელსაც ხის სამი კედელი და თუნუქის ბრტყელი სახუ-
რავი ჰქონდა.

„კოკა-კოლას“ ხის ყუთზე ვიჯექი და ვუყურებდი პიკაპებს,
რომლებიც გუგუნით დაქროდნენ გზატკეცილზე, სანამ გამონა-
ბოლქვისა და მონყენილობისგან თავბრუ არ დამეხვეოდა; ჩვეუ-
ლებრივ, ხუთშაბათობით ბევრ ატამს ყიდულობდნენ – დიასახ-
ლისები წინასწარ ემზადებოდნენ კვირადღეებისთვის, როდესაც
სტუმრებს ხილის სასმლით უნდა გამასპინძლებოდნენ. მაგრამ ამ-
ჯერად არც ერთი მანქანა არ შეჩერებულა.

ტ. რეი უფლებას არ მადღევდა, ფარდულში წიგნები წამელო.
თუკი მაღულად მაინც წავიღებდი რომელიმე წიგნს, მაგალითად,
„დაკარგულ ჰორიზონტს“, რომელიმე კეთილისმსურველი, მაგა-
ლითად, მეზობელი ფერმის პატრონი მისის უოტსონი ეკლესია-
ში ეუბნებოდა ხოლმე ტ. რეის: „დავინახე, როგორი გატაცებით
კითხულობდა შენი ქალიშვილი ფარდულში წიგნს. სასახელო შვილი
გყავს“. და მამაჩემი მზად იყო, მოვეკალი.

რატომ იყო *კითხვის* წინააღმდეგი? მე მგონი, ტ. რეი ფიქრობ-
და, რომ კითხვის შედეგად კოლეჯზე დავინწყებდი ოცნებას, რაც
იმას ნიშნავდა, რომ ფული ამაოდ უნდა დაეხარჯა. მისი აზრით,
კოლეჯში სწავლა გოგონებს სულაც არ სჭირდებოდათ, იმ შემ-
თხვევაშიც კი, თუკი ისინი, ჩემ მსგავსად, უმაღლეს ქულებს იღებ-
დნენ „სიტყვიერი უნარების ტესტირებისას“. მათემატიკაში ესოდენ
მაღალი მწვერვალები არ დამიპყრია, მაგრამ ადამიანი ყველაფერში
ერთნაირად ნიჭიერი ხომ ვერ იქნება?

ერთადერთი მოსწავლე ვიყავი, რომელიც არ აღშფოთებულა, როდესაც მისი ჰენრიმ შექსპირის კიდეც ერთი პიესის წაკითხვა დაგვავალა. რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად მეც ამოვიოხრე, მაგრამ შინაგანად ისე აღვფრთოვანდი, თითქოს „სილვანის ატმის დედოფლის“ გვირგვინით დამაჯილდოეს.

ჩვენს სკოლაში მისი ჰენრის მოსვლამდე ვფიქრობდი, რომ კარიერის მწვერვალს სილამაზის კოლეჯში სწავლის შედეგად მივალწევდი. ერთხელ, როდესაც მისი ჰენრის სახეს დავაკვირდი, ვუთხარი (ისე, თითქოს ჩემი კლიენტი იყო), რომ შემძლო მისი წარბები ფრანგული მოდის მიხედვით ამომეყნა, რაც ძალიან დამაშვენიებდა, მან კი მიპასუხა (სიტყვასიტყვით): „ლილი, გენაცვალე, რატომ იმცირებ თავს? ნუთუ არ გესმის, როგორი ნიჭიერი ხარ? შენგან პროფესორი ან მწერალი უნდა დადგეს. სილამაზის სკოლა? არ გამაგონო“.

ერთი თვე დამჭირდა, სანამ გონს მოვეგებოდი და გავაცნობიერებდი, რომ ცხოვრებაში რალაცის მიღწევა შემძლო. ხომ გაგიგონიათ, როგორ ეკითხებიან ხოლმე მოზრდილები ბავშვებს: „აბა, მითხარი, რა გინდა გახდე, რომ გაიზრდები?“. ვერც კი აგისხნით, როგორ მძაგდა ამგვარი შეკითხვები, მაგრამ მალე თვითონვე ვუხსნიდი ადამიანებს, რომლებსაც ეს სულაც არ აინტერესებდათ, რომ, როდესაც გავიზრდებოდი, პროფესორი ან ნამდვილი მწერალი გავხდებოდი.

ჩემი ნაწერების კრებულს ვაგროვებდი. ერთხანს ცხენებზე ვწერდი. სკოლაში რაღაც უოლდო ემერსონი რომ ნავიკითხეთ, „ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფიის“ წერა დავიწყე, მაგრამ სამ გვერდს ვერ გავცდი. მისი ჰენრიმ ამიხსნა, რომ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევძლებდი ფილოსოფიაზე წერას.

მან მითხრა, რომ განათლება ჩემი მომავლის ერთადერთი საწინდარი იყო და ზაფხულში თავისი წიგნები მათხოვა. როდესაც პირველი გადავშალე, ტ. რეიმ მკითხა: „შენ რა, იულიუს შექსპირი გგონია თავი?“. გულწრფელად ფიქრობდა, რომ შექსპირს იულიუსი ერქვა და თუ გგონიათ, რომ შევუხსნორე, თვითგადარჩენის ხელოვნებისა არაფერი გაგეგებათ. ხან „წიგნში ცხვირჩარგულს“ მეძახო-